წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხუთშაბათი 29 სექტემბერი

საქართველო

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 15 კ., უკანასკნელ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., სხვა ადგილებიდან კავკასიაში ... ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიანი განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ძ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 448 ეროვნული ... ... № 448

კახეთის რკინის გზაზე მოსამსახურე **ივანე ბარკალაია, ბეჟან და სოფიო ბარკალაიები, ანტონ ჟურაშვილი მეულლითურთ** გულითადის მწუხარებით აცხადებენ—პირველი დაუვიწყარი მეულლის, მეორენი საყვარელ რძლის და მესამენი ძვირფასი შვილის

მარიამ ანტონის ასულის ბარკალაიას

გარდაცვალებას თბილისში 23 ენკენისთვეს. ცხედრის მოსვენების და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—1

სიდონია იგივე(კუცა)კონსტანტინეს ასული ბეჟანოვისა, შვილები მისი: კოტე, მარო და მიშა, ცოლის დები დარჩია ხერხეულიძისა, პელაგია ტატიშვილისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელი ქმრისა, მეორენი ძვირფასი მამისა და მესამენი სიძის

ბეჟან დიმიტრის ძე ბეჟანოვის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება სოფელ წრომში (გორის მაზრა) 1 ოქტომბერს, დღით შაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე. 323—1—1

განუსაზღვრელ მწუხარებასა შინა მყოფნი: **მეუღლე ფედოსია მალაქიას ასული, შვილები: ბორისი (მამია), დანიელი, ელენე, ლიდია, ანტანინა, კლეოპატრა, ფატი და სიძე ნიკოლოზ ვასილის ძე ოქსიოლნოვი** გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ყარამან (სიმონი) გუჯმახანის ძე

ანთელავა

განსვენება და დაკრძალვა დანიშნულია 1 ოკტომბრისთვის სოფ. ყულის კარში (ზუგდ. მაზ.). 1—1

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევროზისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი **ი. ჩარეიძეი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით 12½—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლვოვოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმმა **ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განუახლდა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. ბუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

ბეგია **მ. მ. ქოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი აპირებს მოწაფეთ მეცელა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ.

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი

მარიამ ტ. გალანჩივაძისა.

გეკურნავ მსაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სხეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, შეტ სიწითდეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უტხო ულვაოლსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასად გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად ადარ ცვინდება და იდების სასიამოვნ ფერსა და სიბრიდეს.

ავადმყოფები მიიღება დიდის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. ჯოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

ქართული კედლის კალენდარი 1917 წლისა.

ბ. ოცხელისა და ამს. წიგნის მაღაზია შეუდგა 1917 წლისათვის ქართული კედლის კალენდრის გამოცემას.

სავაჭრო-სამრეწველო ფირმებს, აგენტურებს და დაწესებულებებს შეუძლიათ წიგნის მაღაზიასთან შეთანხმებით მოთავსონ კალენდარში თავისი განცხადებები მეტად ზომიერ ფასად.

298—4—12.

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 29 სექტემბრიდან

ქრონიკა გომონი

მიმდინარე ამბები.

უდანაშაულოდ დასჯილნი

(მაწანწალანი)

მხატვრული დრამა 5 ნაწილად ოსტროვსკის ნაწარმოების შინაარსის მიხედვით. მსახიობთა ნ. ლისენკოს, ნ. პანოვისა, რაისკის და პავლოვის მიერ შესრულებული.

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 29 სექტემბრიდან:

მიმდინარე ამბები. **ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები.

სიკვდილამდის ერთი საათით წინ.

კინო-დრამა 3 ნაწილად სასამართლოს ქრონიკიდან მურომსკის, ივანოვას, ლაზარევასა და ლენინის მონაწილეობით.

სახუმარო სურათი **ბიძამ გადაარჩინა** სახუმარო სურათი

მსოფლიო ომი.

დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან

27 ენკენისთვე.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. ვლადიმერ-ვოლინის მიმართულების, ზატრუკი - შელვოვ - ბუბნოვის მიდამოებში ცხარე ბრძოლაა. ადგილ-ადგილ ჩვენმა ჯარმა მტრის ხაზი გაარღვია და გამაგრდა. ბრზეჟანის აღმოსავლეთით, შიბა ლინის მიდამოებში მტერმა შემოგვიტია, მაგრამ მოვიგერიეთ, აქ ხიშტებით ცხარე შებრძოლების შემდეგ ავიღეთ ავსტრიელების ერთი მოწინავე თხრილი. 21 ენკენისთვეს მდინ. ბისტრიცო ზოლოტვინაზე, სოფ. დევინიაჩის მიდამოში, ჩვენი ერთი პოლკის მზვერავები მავთულების ხლართით გაუმაგრებელ ადგილზე მტრის სანგრებში შეიჭრნენ, იმედი ჰქონდათ მტერს მოულოდნელად თავს წაადგებოდნენ, მაგრამ მტრის მრავალრიცხოვანი რაზმი გარს შემოერტყა და 8 მზვერავს პორუჩიკ ვოლოსატოვის უფროსობით ტყვეთ წაყვანა მოუნდომეს. მაშველმა ჯარმა მტრის რკალი ვერ გაარღვია. მზვერავები ცოცხალის თავით არ დაჰნებნენ მტერს. უთანასწორო ბრძოლაში მოჰკლეს პორუჩ. ვოლოსატოვი და 7 მზვერავი.

კავკასიის ასპარეზი. ჩვენი მზვერავი რაზმები ოგნოტსა და შამირიანთან მარჯვეთ მოჰქმედებენ.

დობრუჯში ჩვენი ჯარი ახლად დაპყრილ ადგილებზე გამაგრდნენ.

შავ ზღვაზე 23 ენკენისთვეს ჩვენმა ნაღმოსნებმა სამუნსა და სინოპს მიუხტნენ, 58 იალქნიანი გემი დაულუპეს და ნავთსადგურს ზარბაზნები დაუშინეს, 40 კაცი დაატყვევეს, ერთი ფოლად გადაკრული ნავი სევასტოპოლში მიიტანეს.

27 ენკენისთვე,

პარიზი. მთაშავეთის მეფე ეხლა ბდ. სენაზე მდებარე პეილში იმყოფება. მთაშავეთის მთავრობაც მალე აქ გადმოვა.

27 ენკენისთვე.

დონდონი. საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარსარდალის ცნობა. 24 ენკენისთვეს ღამე მტერმა ლაბეს სამხრეთით შემოგვიტია და წინად წარმოებული სანგრების ნაწილი დაიბრუნა. ლეზასი ეხლა მთლად ჩვენს ხელშია. 500 ტყვე წამოვიყვანეთ.

სოლუნის ოფიც- ცნობა. გუშინ, ცხარე ბრძოლის შემდეგ, პოჟარევაელის ჩრდილოეთით, სერბიელებმა ბულგარლები დასძრეს და მათი ადგილი დაიჭიროს. ბრძოლა გრძელდება ღამე სერბიელები დამკვიდრდნენ დობროჟელიჩაში, რომელიც ბულგარლებს გამაგრებული ჰქონდათ.

პარიზი. მახლობელი აღმოსავლეთი. მდ. ჩერნის მოსახვევიდან პრესპას ტბამდე ბრძოლა გრძელდება. სერბიელებმა აიღეს დობროპოლის მწვერვალი, ფრანგებმა ბებას მთებში აიღეს ვიზოეო.

ლონდონი. კურსელეტ ბარლენკუსის გზის ჩრდილოეთით ცხარე ბრძოლა იყო. აქ ორ დღეში დავატყვევეთ 12 აფიცერი და 866 მეომარი. გუშინ, უამინდობის მიუხედავათ, ჩვენი მფრინავები მარჯვედ აწარმოებდენ ზვერვას. ერთი საფრენი დაგვაკლდა.

ბუქარესტი. რუმინელების ოფიციალი ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. კალიმანის გურგიუს და გარგივლის მთებში 25 ეკენისთვეს მზვერავ რაზმების შეჯახებაა. ბრაშევის დასავლეთით, გიმბავუელესთან, მტრის რამდენიმე იერიში მოვიგერიეთ. ალიუტის ველის ხეობაში ზარბაზნების სროლაა.

სამხრეთის ასპარეზი. დუნაის გასწვრივ და დობრუჯში ზარბაზნებით ბრძოლაა.

ნიუ-იორკი. წყალ-ქვეშა ნავი „U 35“ ვილჰელმსგაფენიდან როტეილანდზე მდებარე ნიუპორტში მივიდა, 25 ენკენისთვეს, 17 დღის ცურვის შემდეგ. ამბობენ, წყალ-ქვეშამ გერმანეთის დესპანს დეპეშები მიუტანა 2 ს. შემდეგ წყალ-ქვეშა ნიუპორტიდან გავიდა; მისი გეზი არავინ იცის. წყალ ქვეშა შეიარაღებულია ორი ზარბაზნით და ნაღმების სასროლ 8 მანქანით. ზედ ვე აქვთ რადიოტელეგრაფიც.

ვაშინგტონი. ინგლისის დესპანმა სახელმწიფო დეპარტამენტში უკმაყოფილება განაცხადა, გერმანეთის წყალ-ქვეშა ამერიკის ნავთსადგურში რად შემოუშვითო.

პეტროგრადი 25 ეკენისთვეს დილით ფინეთის რკინის გზით საბარ-ნეთისაკენ გაემგზავრა საბერძნეთის ბატონიშვილი ნიკოლოზი.

პარიზი. სამგზავრო გემი „გალლია“, რომელსაც 2000 ფრანგი და სერბიელი ჯარის კაცი მიჰყავდა, 21 ენკენისთვეს წყალ-ქვეშამ დალუპა. თითქმის 1362 გადაარჩინეს.

„გალლია“ დამხმარე კრეისერი იყო, ჯარის გადასაყვანად მოწყობილი. ნაღმი ყუმბარების საწყობს მოჰხვედროდა და უმავთულო ტელეგრაფიც დაენგრია, გემი მთელ ქვეყნიერებისაგან მოწყვეტილი იყო. ტივზე გადარჩენილი მგზავრები საფრანგეთის კრეისერმა შეამჩნია 22 ენკენისთვეს, მაშველი გემი დაიბარა და გადარჩენილები სარდინიის სამხრეთ ნაპირზე გადასხა.

ნიუ-იორკი. ინგლისის გემი „სტრატდენი“, რომელიც ნიუ იორკიდან ბორდისს მიემართებოდა, დაღუპეს. ზედმოყოფთაგან 20 გადაარჩინა გემმა „ნანტიუკენცმა“. ნიუპორტიდან ამერიკის ნაღმოსნები მისაშველებლად გაეშურნენ.

ლონდონი. ინგლისის სანავთსადგურო სამმართველომ გემ „ბესტუპანი“-საგან უმავთულო ტელეგრაფით ცნობა მიიღო: წყალ-ქვეშა დაგვეცა. გემზე მყოფნი ნავებში ჩავსხით. წყალ ქვეშას თავ-დასხმა თვითონ ინგლის ამერიკის შუა ოკეანის სანაოსნო გზაზე მოხდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

——

დასავლეთის ასპარეზზე გერმანელთა უკან დახევის და ინგლისელთა და ფრანგთა მიერ წინწაწევის გამო, რასაც შედეგათ მოჰყვა კომბლის დატოვება გერმანელთაგან, ხელმწიფე იმპერატორმა მისალოცი დეპეშები გაუგზავნა ინგლისის მეფესა და საფრანგეთის პრეზიდენტს პუანკარეს.

——

სერბიის დაპყრობისა და მისი ჯარის დამარცხების შემდეგ სერბიის ჯარის დამარცხებულმა ნაწილებმა, რომელნიც აქამდე ისვენებდენ და ეწყობოდენ, ახლა პირველათ შესდგეს ფეხი სერბიის ტერიტორიაზე მაკედონიაში. მათი შტაბი იტყობინება, რომ ჩვენ დავიბრუნეთ ჩვენი ტერიტორიის 200 კვადრატული კილომეტრი შვიდი ქალაქითო.

——

„დეილი ტელეგრაფს“ ატყობინებენ, რომ მძაფრი და სასტიკი ომი დობრუჯაში გრძელდება. მაკენზენის არმიას სამი მხრით უტევენ. ამავე დროს რუმინელები იმავე გზით მიდიან ბოლგარეთისკენ, როგორც თაც შეიჭრენ იქ ამ რამდენიმე წლის წინათ ბალკანეთის ომის დროს.

——

საბერძნეთის მთავრობა სასტიკ ზომებს იღებს დეზერტირ აფიცრებისა და ჯარის კაცების წინააღმდეგ, რომელნიც მიდიან სალონიკის „ეროვნულ არმიის“ დასახმარებლათ.

——

გაზ. „რანნეე უტროს“ ატყობინებს მისი კორესპონდენტი. საბერძნეთის მეფე კონსტანტინე შეუძლოთაა. მან მიიღო გაზ. „ასს. პრესის“ კორესპონდენტი მწოლიარემ. მეფეს მუდამ გარს არტყია ექიმები და მხლებლები. მას აწუხებს ცივება, რაიცა გამოუწვევია ბალკანეთის ომებში მიღებულ ჭრილობების გაღიზიანებასო.

——

გაზ. „რუს. სლოვოს“ ატყობინებენ, რომ საბერძნეთის მეფე გადასულა საუ-

ომის დღიური.

ალმოსავლეთის ასპარეზი. ვლადიმირ ვოლინის მიმართულებით მკაცრ ბრძოლები სწარმოებს. ზოგ ადგილას რუსებმა ოდნავად წინ წაიწიეს. ...ენის აღმოსავლეთით რუსებმა ავსტრიელების იერიშები მოიგერიეს. ბისტრიცაზე რუსის მზვერავი რაზმის მოქმედება ცუდათ დასრულდა და რაზმი მოსპობილ იქნა.

...ასავლეთის ასპარეზი. ლაბესთან გერმანელებმა ინგლისელებს შეუტიეს და დაკარგული თხრილები დაიბრუნეს. კურსელეტ-ბარლენ კურტეზის ჩრდილოეთით ცხარე ბრძოლა მოხდა. ჰაერში ენერგიული ბრძოლა სწარმოებს.

კავკასიის ასპარეზი რუსის მზვერავებმა ოგნოტთან მარჯვეთ იმოქმედეს. სამსუნა და სინაპს რუსის ნაღმოსნები დაეცნენ. 58 იალქნიანი გემი დაღუპეს და ნავთსადგურს ზარბაზნები დაუშინეს.

იტალიის ასპარეზი. ცვლილება არ მომხდარა.

რუმინიის ასპარეზი. ჩრდილოეთით რუმინელებს კრონშტატთან უკან დაუხევიათ და ქალაქი დაუტოვებიათ. სამხრეთით საარტილერიო ბრძოლაა. დუბრუჩაში რუსები შეჩერდნენ.

მაკედონიის ასპარეზი. მოკავშირეთა ჯარი წინ წაწევას განაგრძობს. სერბიელებმა დობროპოლი დაიპყრეს.

ფლისწულო მამულ ტატოიში. სასახლე ძლიერ გაუმაგრებიათ. დღე და ღამე სალდათები მუშაობენ და გარს არტყამენ თხრილებსა და მავთულის ხლართებს. პატრასიდან მიუტანიათ ზარბაზნები ტატოის გარნიზონის გასაძლიერებლათო.

— —

გერმანიის წყალ-ქვეშა ნავები არ ინდობენ არავის. ისინი თავს დასხმიან სხვათაშორის ნორვეგიის გემებსაც. ამ ამბავს მღელვარება გამოუწვევია ნორვეგიაში.

— —

მთელ გერმანიაში ამ ჟამად სამხედრო საჭიროებისათვის აგროვებენ ოქროს ნივთებს, აძლევენ სახელმწიფო ბანკს, რომელიც გადაადნობს მათ. გერმანიის დედოფალს განკარგულება მოუხდენია რომ ბანკს გადასცენ აგრეთვე უსასყიდლოდ ყველა მისი ოქროს ძვირფასი ნივთები. ამბობენ რომ გერმანიის ყველა მეფეთა გვარეულობაც ასე მოქცეულა.

— —

საფრანგეთის მთავარსარდალი გენერალი სიმუსი ეოფრი თავის ხელქვეით ჩრდილოეთის ჯარებს მადლობას უცხადებს თავის ბრძანებაში, რომელშიაც სხვათაშორის სწერს: განთავისუფლებულია ვერდენი დავიბრუნეთ 25 სოფელი. დავატყვევეთ 35000 მოწინააღმდეგის ჯარის კაცი და წავართვით 150 ზარბაზანი ამით ჩვენ გავარღვიეთ მტრის ფრონტი და 10 კილომეტრით შევიჭერით შიგნი. შორს აღარ არის ის დღე, რომ საბოლოოდ გავიმარჯვებთო.

— —

გენ. ბოიაჯევის ნაცვლად ბულგარეთის პირველი არმიის მთავარსარდლათ დაინიშნა გერმანელი გენერალი ფონ-ფინცლერი.

— —

საბერძნეთის რევოლიუციონური მთავრობა მიემგზავრება საბერძნეთისაკენ.

— —

სამხედრო მიმოხილველთა აზრით სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე, ვლადიმირ ვოლინსკის მიმართულებით ბრძოლა მეტად მკაცრ ხასიათს იღებს. ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ ჰაეროპლანები აქ ...ბრძოლით უფრო ეხმარებიან რუმინიას ...ანსილვანიაში,

— —

...ეს. სლოვოს“ ატყობინებენ რომ ... კვირის წინათ ევროპის ოსმალეთში 10 დივიზია ოსმალეთის ჯარისა. ...ეული დივიზია შესდგება 10—12 ...ჯარის-კაცისაგან. მათგან 5 დივიზია ...ნა ავსტრიაში და ბულგარეთში. ...ციაში ამ ჟამად იმყოფება 30000 და დობრუჯაში 20000 ოსმალელი. დარდანელში დატოვებულია 4 დივიზია და აზიის ფრონტზე კი 38 დივიზია ოსმალეთის ჯარის-კაცნი.

— —

მოსკოვის გაზეთებს აცნობებენ, რომ საბერძნეთის მეფე კონსტანტინემ მოლაპარაკება გამართა ვენიზელოსთან, რომ ლის მოწვევა ახალ სამინისტროს შესადგენათ აუცილებლათ მიაჩნიაო.

— —

გერმანიის ტახტის მემკვიდრეს, რომელიც იბრძვის ვერდენთან, უთქვამს ამერიკელ ჟურნალისტებისათვის: ჩვენ დავიღალეთ სისხლის ღვრით და გვწყურია ზავი თუ მსოფლიოში კიდევ დარჩენილა საღი აზრის ნატამალიო.

— —

სომმის ნაპირებზე ბრძოლა ისეთი მედგარია, რომ ზარბაზნების ჭექა გრგვინვა პარიზში ისმის.

— —

მოკავშირეები აკავებენ საბერძნეთის მეფის კონსტატინეს დეპეშებს, რომელნიც იგზავნებიან სალონიკზე.

— —

ავსტრიაში სამხედრო სამსახურისათვის მოუწოდებენ ყველას ვისაც კი შეუძლია იარაღის ტარება.

— —

ოსმალეთმა ბულგარეთს მიაშველა დობრუჯაში 50000 ჯარის-კაცი.

სამხედრო მიმოხილვა.

ბრძოლის ასპარეზებიდან ყველაზე მეტს ყურადღებას კვლავ ბალკანეთი იპყრობს.

გუშინდელი დეპეშების მიხედვით დიდი ბრძოლები მომხდარა ქ. კრონშტადტის ახლომახლო. თუ გავიხსენებთ რუმინიის ომში ჩარევისათანავე რუმინიამ აქ დაიწყო შეტევა, გადალახა ავსტრიის საზღვარი, რათა დიდი ხნის ნაციონალური მისწრაფებანი განეხორციელებინა და ტრანსილვანია დაეპყრო. გერმანელებმა მაშინვე საპასუხო შეტევა დაიწყეს მხოლოდ არა პოლიტიკურის მიზნით, არამედ წმინდა სტრატეგიულის მოსაზრებით.

როგორც ჩვენს ერთ ერთ წერილში გვქონდა აღნიშნული, თუ გერმანელებმა მართლაც მოინდომეს რუმინიის გადალახვა, სწორედ კრონშტადტის მიმართულებით უნდა დაიწყონ შეტევა.

როგორც დეპეშებიდან ვტყობილობთ, ხსენებულ მიმართულებით რუმინელებს უკან დაუხევიათ და ქ. კრონშტადტიც დაუტოვებიათ.

მაშასადამე გერმანელებს უკვე სერიოზული შეტევა დაუწყიათ და განვითარდება თუ არა ეს შეტევა, ამას ახლო მომავალი დაგვანახებს.

რუმინიის სამხრეთ საზღვარზედაც ამოქმედებულა კვლავ ცენტრალ სახელმწიფოების მხედრობა; ბულგარელთა არტილერიას საარტილერიო ბრძოლები დაუწყია თითქმის მთელ დუნაის ხაზზე და განსაკუთრებით კი ზიმნიცაზე. აქ ამ ჟამად მედგარი საარტილერიო ბრძოლაა.

ზიმნიცა სწორედ კრონშტადტის გამსწვრივაა და, თუ გერმანელებმა განავითარეს თავისი შეტევა, ბულგარელები სწორედ ზიმნიცასთან ეცდებიან დუნაის გადალახავს.

მოკავშირეები მხნედ შეუდგნენ გერმანელების გეგმის გაბათილებას, მაგრამ ჯერჯერობით საგრძნობლად ვერ შეცვალეს ბრძოლების მსვლელობა ბალკანეთზე.

რუსების შეტევას გალიციაში დიდ წინააღმდეგობას უწევენ გერმანელ ავსტრიელები და ზოგ ალაგას თვით გერმანელებიც უტევენ.

გენ. სარალის ჯარის მარცხენა ფრთა განაგრძობს წინსვლას და მარჯვენა ფრთა კი სდუმს. თუ მარჯვენა ფრთამაც არ წაიწია წინ მარტო მარცხენა ვერას გახდება; სხვა რომ არა იყოს რა მისი მოქმედების რაიონი დაშორებულია და შესაფერ გავლენას ვერ მოახდენს ბულგარელთა დობრუჯაში მოქმედებაზე.

შვერეჯი.

იაპონია და ჩინეთი.

განახლებული იაპონიის ძლევამოსილება დღითი დღე იზრდება. ვიდრე იგი დააღწევდა თავს დრომოჭმულ წესწყობილებას და აზიურ კარჩაკეტილობას, იგი შეადგენდა „განათლებულ“ ევროპიელ და ამერიკელ კაპიტალისტების ყვლეფის საგანს, ისე როგორც სხვა ჩამორჩენილი სახელმწიფონი. პირველი ევროპიელი მისიონერი ვითომდა ქრისტიანობის შესატანად მისული იაპონიაში, პირველი აგენტ კომისიონერი ევროპიული ნაწარმოების გასასაღებელათ მიბრძანებული იქ, და პირველი ყუმბარა ევროპიელებისა, გამსკდარი იაპონიის ზღვის ნაპირებზე, შეიქმნა იაპონელთა გამოფხიზლების აზარმაცად თავიანთი არსებობის დასაცავათ იაპონელებმა დალეწეს ფეოდალური წესწყობილება, რაიცა ჰბორკავდა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას. გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან იაპონელები შესდგენ განახლების გზაზე. ნახევარი საუკუნის განძავლობაში პირდაპირ სასწაული მოხდა ამ ქვეყანაში დაარსდა დაბალი საშვალო და მაღალი სასწავლებლები სამასწავლებლო, სატეხნიკო, სამეურნეო, სახელოსნო, საექიმო, საკომერციო, სამხედრო, გიმნაზიები, ინსტიტუტები, აკადემიები და უნივერსიტეტები. მთელი იაპონია მოიფინა სკოლებით და ფოსტა ტელეგრაფით. გაყვანილ იქმნა გზატკეცილები და რკინის გზები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მეურნეობის განახლებას და ვაჭრობა მრეწველობის აღორძინებას. წარმოიშვა ძლიერი ბურჟუაზია რომელიც საჭიროებდა თავისი მდგომარეობის განმტკიცებას შინ და ფრთების გაშლას მახლობელ ქვეყნებში, კორეისა და ჩინეთში. ამისთვის საჭირო იყო სამხედრო ძალები და აი, კაპიტალიზმის გაძლიერებას იაპონიაში, მოჰყვა მილიტარიზმის გაძლიერებაც. სულ მცირე ხანში იაპონიამ შეჰქმნა საუცხოვო ხმელეთის ჯარი. მარა ეს არ კმაროდა. იაპონია კუნძულთა ქვეყანაა, მას გარშემო ზღვები არტყია რომ ევროპიელთაგან თავი დაეცვათ და ხმელეთისაკენ გზა გაეკვლიათ, სავაჭრო ფლოტთან ერთად იაპონიელებს უნდა შეექმნათ სამხედრო ფლოტიც. და შეჰქმნეს კიდეც. თავისი ქვეყნის განსაახლებლათ მათ დაიხმარეს უცხოელი ინსტრუქტორები. განათლება მიიღეს ფრანგთაგან სამხედრო წესი შეისწავლეს გერმანელთაგან, მეზღვაურობა ინგლისელთაგან, ვაჭრობა-მრეწველობა ამერიკელთაგან, თავისი ცუდი მხარეები უარჰყვეს, საუკეთესო თვისებანი შეირჩინეს ევროპისა და ამერიკისაგან ყოველივე კარგი ისწავლეს და შეითვისეს და ცუდი უკუ აგდეს, და ასე მომზადებული შეხვდენ ისინი გასული საუკუნის ბოლოში შორეულ აღმოსავლეთში მიდენილ ევროპისა და ამერიკის კაპიტალიზმის ტალღებს. იაპონელებმა გაასწრეს და დაასწრეს თავიანთ მასწავლებლებს და თავიანთი კუნძულებიდან იწყეს ნიადაგის მოპოება კორეისა და ჩინეთში. ამას აიძულებდა მათ ერთი მხრით მიწაწყლის სივიწროვე თავიანთ ქვეყანაში და მეორეს მხრივ ნაწარმოების გასასაღებლათ ბაზრის ძებნა.

ოცოდე წლის წინათ მათ პირველი იერიში მიიტანეს კორეის წინააღმდეგ. კორეიას გამოესარჩლა მასავით დახავსებული ჩინეთი. გაჩაღდა ომი. იაპონიამ ორივე დაამარცხა და ლამობდა თავის მდგომარეობის გამტკიცებას საქმეში ჩაერიენ ევროპიელები. ამას მოჰყვა ჩინელთა ამბოხება, რამაც გამოიწვია ევროპის დიდი სხელმწიფოების რუსეთის და თვით იაპონიის ჯარების შესევა გერმანელ გენერალ ვალდერზეეს სარდლობით ჩინეთში და მისი სატახტო ქალაქის პეკინის დაპყრობა. ჩინეთი დატუქსეს მათ და შემდეგ დასცალეს, მაგრამ იაპონია თავისას არ იშლიდა და მიისწრაფოდა კორეისა და ჩინეთისაკენ, სადაც მას ჰქონდა დიდი საემიგრაციო და სავაჭრო-სამრეწველო ინტერესები. ამ ნიადაგზე მას წინ გადაეღობა რუსეთი. მარა იაპონია, ეს რუსეთის ერთერთ გუბერნიის ოდენა ტერიტორიით და ერთი ოთხათ ნაკლები მცხოვრებთა რიცხვით, მთელი კაცობრიობის განსაცვიფრებლათ ომს უცხადებს რუსეთს

გამარჯვებული იაპონია რუსეთს აძევებს პორტარტურიდან და დალნიიდან, ამ გაუყინავ ნავთსადგურებიდან. ართმევს ლიაოდუნის ნახევარ კუნძულს, სახალინის ნაწილს, ტ აუარებელ რკინის გზებს. იაპონია არ სჯერდება ამას, იპყრობს კორეიის სამეფოს, ტახტიდან აგდებს მის იმპერატორს და ეპატრონება მთელს კორეიას. ამასთან იგი ავრცელებს თავის გავლენას ჩინეთში. ეს ხდება 12—13 წლის წინად.

მას შემდეგ კაცობრიობის თავზე გადაარა ისეთმა ქარიშხლებმა, როგორიც იყო რუსეთისა და მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნების, სპარსეთის და ოსმალეთის განმათავისუფლებელი რევოლიუციები ბალკანეთის სახელმწიფოთა ომები და უზარმაზარი ჩინეთის ამბოხება, და რადგან ამის გამო აღარავის ეცალა იაპონიისათვის, იგი მტიკიცედ დამკვიდრდა კორეიასა და მანჯურიაში და გააძლიერა გავლენა ჩინეთში ამ დროს, იფეთქა მსოფლიო ომმა და თითქმის ყველა ევროპის და აზიის სახელმწიფონი გაიყვნენ ორ დიდ ბანაკათ რომელთა შორის ეს მესამე წელიწადია სამკვდარო სასიცოცხლო ომი სწარმოებს.

იაპონიას ახლა კიდევ უფრო საუკეთესო დრო დაუდგა თავის მდგომარეობის განსამტკიცებლათ შორეულ აღმოსავლეთში. თუ თორმეტის წლის წინათ რუსეთი გამოაძევა იქიდან, ახალა ჯერი მიდგა გერმანიაზე მან ომი გამოუცხადა გერმანიას და გამოაძევა კიოჩაოდან და ცვინდაოდან ჩინეთის მიერ ამ დათმობილ ადგილებიდან. ამ რიგათ ჩინეთში მას დარჩა ბურთი და მოედანი. ჩინეთი თუმცა ერთი ათად მეტია იაპონიაზე მცხოვრებთა რიცხვით, მაგრამ გვიან გამოიღვიძა. მას ჯერ სიბნელე და უმეცრება, უუფლებობა და სილატაკე ჰბორკავს. ამასთან ხანგრძლივი შინაური მოქალაქური ომებით ძლიერ დასუსტდა. მართალია მან შესძლო რამდენიმე წლის წინად მონარქიზმის დამხობა, იმპერატორის ტახტიდან გადმოგდება და რესპუბლიკის დამყარება, მაგრამ ასეთ დიდ ქვეყანას, როგორიც ჩინეთია, თავისი 500 მილიონი გმცოვრებით, სწავლა განათლებისათვის ეკონომიური აღორძინებისათვის და სამხედრო ძალთა ორგანიზაციების მოსაწესრიგებლათ სჭირია შემოქმედებითი მუშაობა. ამისათვის საჭიროა შვიდობიანი ხანგრძლივი ცხოვრება და შრომა შინ და გარეთ. ამას იგი მოკლებულია. მას სურს თავი დაალწიოს სიბნელეს და განახლდეს, მაგრამ იმ დროს, როდესაც იგი იბრძვის ამისათვის შინ, გარეშე სახელმწიფოები სწიწკნიან მის სხეულს გარედან. არ სურთ მისი განახლება. მათ უნდათ იგი მხოლოდ თავის ნაწარმოების გასასაღებელ ბაზრათ. ამას ამტკიცებს ევროპის დიდი სახელმწიფოების, იაპონიის და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ჩინეთის მიმართ. დღეს კი ჩინეთი პირდაპირ განსაცდელშია. მას ბუმბერაზეა მაგრამ სუსტსა და უძლურს, ეპატრონება პატარა, მაგრამ ძლიერი იაპონია ამ უკანასკნელს სურს აქციოს იგი თავის საწველ ფურათ ამაში მას დღეს მოწინააღმდეგე აღარავინ ჰყავს, რადგან ყველა მისი მეტოქენი ამჟამად ომის ქარცეცხლში არიან გახვეულნი. დარჩა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ადვილათ ვერ დასთმობს ჩინეთს, რადგან მასაც დიდი ეკონომიური ინტერესები აქვს ამ ქვეყანაში.

ს. კლარჯეთელი.

თ-დი დ. ო. ნიჟარაძის წერილის გამო.*)

(ან. გაზეთი „სამშობლო“ № 439.)

თ-დი დ. ნიჟარაძის მოციქულები, დეპეშები და გაზეთებში მოთავსებული წერილები შესახებ იმისა, რომ მე დაუყონებლივ შემესრულებია მისი ბრძანება, „თავი დამენებებია ბანკში სამსახურისათვის და გადამვდგარიყავი ზედამხედველი კომიტეტის წევრობიდან“, მომაგონებენ ერთი მოპასუხის განცხადებას ამ დღეებში ოლქის სასამართლოში: „გამაგებინეთ, ბატ. მსაჯულებო, რას ჩამიდენ ეს კაცი (მიუთითა მომჩივანზე). რა უფლებით მიჩივა იგი; ვინ სხვისი ... საფუძველი აქვს მიჩივრებს მამასახლისობა, ... ჯულთან და ახლა ოლქის სასამართლოში. ყოველგან უარით გამოისტუმრეს, მაგრამ მაინც თავისას განაგრძობს; ეტყობა მას მეტი საქმე არა აქვსრა, მაგრამ მე კი თავი მომაბეზრა, სხვა რომ არა იყოს რაო“, დაასრულა ამით მოპასუხემ. მე გულში ვიფიქრე: ეს კაცი სწორედ ჩემს მდგომარეობაშია ყოფილა; მაგრამ, როგორც ჩვენ, მსაჯულები, ვერ დავიხსნით ამ მოპასუხეს მისი დაუცხრომელის მომჩივნისაგან, ისე ვერც მე მოვიშორებ თავიდან თ-დი დ. ნიჟარაძის დაუბოლავებელს საჩივრებს და დაბეზღებასთქო.

აი, აბის უტყუარი საბუთი. „თუ ყოველი ინსტანცია, ბრძანებს ნიჟარაძე, ოლქის სასამართლოდან ვიდრე სამინისტრომდე“(?) და სენატამდის, რომელთაც **მე უსათუოდ მივმართავ**. (რა დიდებული საქციელია გუბერნიის მარშლის მხრით! მაგრამ სამინისტრო ხომ ინსტანცია არ არის, იმას. ალბათ, კერძო საჩივრით მიმართავ(?!), — დაადასტურებს, რომ ბანკი საქველ-მოქმედო დაწესებულებაა, მაშინ სალაპარაკოც აღარაფერი იქნებაო“, მე კი მგონია, რომ მაშინ სალაპარაკო და გადასაწყვეტი ის იქნება, თუ რა სახელი ეწოდოს საჩივრების ავტორს.

ცხადია, რომ თ-დი ნიჟარაძე ჩემზედ საჩივრებს ამზადებს პალატაში, სამინისტროში და სენატში, — ეს ერთი. მეორე, ჩემთვის მარლაც და სახიფათო მრალდება ის გახლავსთ, რომ თ-დი დ. ნიჟარაძე საქვეყნოთ, ხაზ გასმით გაიძახის: „მე, თ-დი ნიჟარაძე, ჭეშმარიტი ქართველი ვარ... და სულით და გულით ერთგული ვარ რუსეთის ტახტისა. არც ერთს ეხლანდელ სოციალურ პოლიტიკურ პარტიას არ ვეკუთვნიო“. კარგი და კეთილი; მაგრამ მე, ს. მიქელაძე, რისთვის ჩამრიცხეთ, თ-დო ნიჟარაძე, არსებულის სოციალურ პოლიტიკური პარტიის წევრად? თქვენ კარგად იცით, რომ მე, როგორც მსაჯულს და, საზოგადოდ, სახელმწიფო სამსახურში მყოფს, ნება არა მაქვს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნოდე; იცით რომ ეს კანონით სასტიკად აღკრძალულია და იმ მოხელეს, მსაჯულია იგი თუ სხვა რომელიმე უწყებაში სახელმწიფო თანამდებობა აქვს, და იმავე დროს პოლიტიკური პარტიის წევრად ითვლება, — დაუყოვნებლივ უნდა დაანებოს თავი სამსახურს, ან უკეთ ვსთქვათ, იმას დაუყოვნებლივ დაითხოვენ სამსახურიდან. ეს თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თ-დო დავით ოტიასძევ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, თქვენ გაზეთის საშუალებით ამბობთ: „თ. ს. **მიქელაძის პოლიტიკურმა თანამოაზრეებმა** წელს, მაისის თვეში ..“ შემდეგ, იმავე წერილში ბრძანებთ: „მისი, **ს. მიქელაძის პოლიტიკური თანამოაზრეები კი** შეუფერებელ პასუხს მაძლევენო“.

რა სახელი უნდა უწოდოთ ამნაირს თქვენს განცხადებას, თ-დო ნიჟარაძე? ერთი, რომ თქვენი ბძანება, ვითომ მე პოლიტიკური პარტიის წევრი ვიყო, სრულიად სიმართლეს მოკლებულია, და, თქვენ რომ ამგვარი ხელის მოთოებით მთავრობასთან მაბეზღებთ, ეს ხომ ეჭვს გარეშეა. კიდევაც რომ იმოქმედოს, სადაც და ვისთასთანაც ჯერარს, თქვენმა ამნაირმა დაბეზღებამ, მე მაინც იგივე ს. მიქელაძე დავრჩები, შეიძლება, თქვენდა სასიხარულოდ, სამსახურს გარეშე. მაგრამ ნუ თუ გგონიათ, რომ ან, „ის წოდება, რომელსაც თქვენ სათავეში უდგიხართ და ვითომ მისი პრესტიჟის დაცვას ცდილობთ“, ან დანარჩენი საზოგადოება მადლობას გეტყვისთ ამისთანა სამარცხვინო მოქმედებისათვის? ამის პასუხი მიმინდვია მკითხველი საზოგადოებისათვის, მან დასდოს მსჯავრი თქვენს ამგვარ მოქმედებას.

„მე (თ-დი ნიჟარაძე) საყვედურისა და დაგმობის ღირსი ვარ, თუ ეს ჩემი მოქმედება (დეპეშები ჩემს სახელზედ) თვით თ. ს. მიქელაძისაგან არ არის გამოწვეული და მე იძულებული არავარ დავიცვა პრესტიჟი იმ წოდების, რომელსაც სათავეში ვუდგივარ და მასთან ჩემი პირადი თავმყვარეობაც, როგორც თავად აზნაურთა წინამძღოლმაო“.

გულწრფელად უნდა აღვიარო, რომ ვიქონიე მოთმინება და თავნდან ბოლომ-

*) ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას და შეუცვლელად ვბეჭდავთ თავ. სოლომონ მიქელაძის წერილსაც. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის წავიკითხე ვრცელი, თუმცა უფერუ-
ი და არსებითი კათხვის შესახებ უში-
არსო წერილი თ-დი ნიჟარაძის; მაგრამ
ა მოქმედებით გამოვიწვიე თ-დი ნიჟა-
ძის მრისხანე ბრძანება მარტო კომიტე-
ის წევრობიდან გადადგომის კი არა,
ამედ თავადაზნაურობის კრებიდანაც
ამორიცხვის შესახებ, ეს აღნიშნულს
ერილში ვერ ამოვიკითხე.—ვერ გამიგია,
ისთვის დასჭირდა თ-დ ნიჟარაძეს, რომ
ვითომ „დაუყონებლივ გავყოლოდე
ნ პეტრეს თავის სამუშაო ოთახისაკენ“
ქმის შესადგენად, როდესაც მე ნამდვი-
ად მასთან გვერდში და სხვა წევრებთან
რთად მაგიდას უჯექი და არც კი წამო-
დგარვარ, სანამ ოქმს მოიტინდა მდივა
ი ხელის მოსაწერად.

ეს თუმცა წვრილმანი რამ არის, მაგ-
რამ დამახასიათებელია წერილის ავტორის
ართლ-მსჯელობისა. წერილის მეორე ფა-
ტიური სიყალბე: „ხელი მოვაწერე ოქმს
და დავსტოვე დარბაზი. ჩემი წამოსვლა-
თანავე, სწერს თ-დი ნიჟარაძე, არჩევანი
ოეხთინათ და კომიტეტის თავჯდომარეთ
ატ. ზდანოვიჩი აერჩიათ“. ნამდვილად
ვი, როგორც თვითონ თ-დი დ. ნიჟარა-
ის ჩემს სახელზედ გამოგზავნილი, 28
აისს, №1203, წერილიდან სჩანს, თავ-
ჯდომარის არჩევანი მოხდა 28 მაის, სა-
ღამოს და არა თ-დი ნიჟარაძის დარბაზი-
დან „გამოსვლისთანავე“.

„ვინაიდან ჩემი განცხადება, რომ კო-
მიტეტის თავჯდომარეთ გუბერნიის მარ-
შალი აგერჩიათ, კომიტეტმა გუშინ, 27
მაისის სხდომაზედ, უარჰყო, ამისთვის
დღეს, 28 მაისს, თავჯდომარის არჩევანს
არ დავესწრებიო“, მწერს მ. თ-დი ნი-
ჟარაძე.

რამდენათ გულწრფელია თ-დი ნიჟარა-
ძე, რომლის სიტყვები ეწინააღმდეგებიან
იმისავე მოქმედებას, გვიჩვენებს შემდეგი.
„1850 წლიდან დაკანონებულივით არი-
სო, მოგვითხრობს თ-დი ნიჟარაძე, თუ
გუბერნიის მარშალი კომიტეტის წევრად
იქნება არჩეული, მას უეჭველად კომიტე-
ტის თავჯდომარეთაც აირჩევენ. 36 წე-
ლიწადია, რაც ამ გვარი წესი ტრადი-
ციათ გამხდარა ჩვენი საადნაურო ბანკშიო„.
ეხლა მივმართოთ უტყუარს საბუთს, რო-
მელიც ცხადად დაგვანახებს, რომ თვი-
თონ თ-დმა ნიჟარაძემ უმტყუნა ამ ტრა
დიციას კომიტეტის წიგნში შავის მელ-
ნით თეთრს ქაღალდზედ აღნიშნულია:
„1910 წელს, 9 ივნისს ზედამხედველი
კომიტეტის თავჯდომარეთ ფარული კენ-
ჭის ყრით იქნა არჩეული იმ დროის გუ-
ბერნიის მარშალი თ-დი ს. დ. წერეთე
ლი, რომელმაც მიიღო ოთხი თეთრი კე-
ნჭი და ერთი შავი. თავჯდომარის მოად-
გილეთ ს. მიქელაძე ერთხმად, ვინ მის-
ცა თ-დ წერეთელს ეს ერთი შავი კენჭი?
თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კენ-
ჭის ყრამდის, იმ დროის კომიტეტის წე-
ვრებმა: ა. ს. საყვარელიძემ. ი. ს. ფან-
ცხავამ, ვ. ი. ჭილაძემ და მე ერთხმად
გადავწყვიტეთ თავმჯდომარეთ ამოგვერ-
ჩია თ-დი წერეთელი; რომ კენჭის ყრის
წინეთ, თავმჯდომარის ადგილზედ კანდი-
დატის დასახელების დროს თ-დმა დ. ო.
ნიჟარაძემ ჯერ სიტყვიერით და შემდეგ
ბარათითაც მე დამასახელა კომიტეტის
თავჯდომარეთ, დანარჩენებმა კი თ-დი ს.
დ. წერეთელი,—თუ ყველა ამაებს გავით-
ვალისწინებთ, ადვილი მისახვედრია, თუ
ვინ იყო წინააღმდეგი გუბერნიის მარშ-
ლის თ-დი ს. წერეთლის კომიტეტის თა-
ვჯდომარეთ არჩევისა,—ეს გახლდათ თ-დი
დ. ო. ნიჟარაძე, ღღეს კი იგივე თავადი
ასეთ საკითხს სვამს: „განა შესაძლებელია
დავუთმო ასეთი შეურაცყოფა გუბერნიის
მარშლისა და დღეს თ. ს. მიქელაძის და,
ადვილი მოსალოდნელია, ხვალ კი ვარ-
ლამ ჭილაძის თავჯდომარეობით მონაწი-
ლეობა მივიღო კომიტეტის სხდომებზე.*)
გუბერნიის მარშლის ასე აბუჩად აგდები
სათვის საჭირო იყო ყურადღება მიმექცია
თუ არაო?“ და თვითონ უპასუხებს: „აუ-
ცილებლად საჭირო იყოვო“.

თუ 1910 წელში შესაძლებელი იყო
30 წლის ტრადიციის უარჰყოფა; თუ
მაშინ შესაძლებელი იყო თ. დ. ნიჟა-
რაძეს მიეცა გუბერნიის მარშლის თ-დ
წერეთლისთვის, როდესაც ამ უკანასკნელს
კომიტეტის თავჯდომარეთ ვირჩევდით,
შავი კენჭი და ეს არ იყო გუბერნიის
მარშლის აბუჩად აგდება,—დღეს, როდე
საც თვითონ თ-დი ნიჟარაძე ბრძანებდა
გუბერნიის მარშლათ, რატომ გონია,
რომ მისი კომიტეტის თავჯდომარეთ აუ-
რჩევლობა, თუმცა ეს ჩემზედ არ იყო
დამოკიდებული,—ისეთი მომაკვდინებელი
ცოდვაა, რომ ის თავის თავს ნებას აძ-
ლევს ყოველივე ზომას მიმართოს ჩემს წი-
ნააღმდეგ და ისიც იმდენად წინდაუხედა-
ვად, რომ პოლიტიკური პარტიის წევრ-
თაც მომნათლოს და ამით დაანახვოს მთა-
ვრობას, თუ რა პოლიტიკური მიმართუ-
ლებისაა ქუთაისის ოლქის სასამართლოს
წევრი ს. მიქელაძე?!?

ულოლიკობას კიდევ რა გაეწყობა, ეს
შეიძლება დროებითი მოვლენა იყოს;
მაგრამ თ-დი დ. ნიჟარაძის მეორე დეპეშა
სრულიად რაღაც გაუგებარი უცნა
ურის ნიმუშია. აი, თვით ეს დეპეშა:

„თქვენმა ბრწყინვალებამ არ ინება,
მწერს მე თ. დ. ნიჟარაძე, პასუხი გაეცა
ჩემთვის იმ დეპეშაზედ, რომელიც იყო
ჩემ მიერ გამოგზავნილი კისლოვოდსკიდან.
თქვენი საქციელი და უარყოფითი დამო-
კიდებულება თავად-აზნაურობასთან და
მის ინტერესებთან სავსებით ექვემდებარება
მეცხრე ტომში აღნიშნულ წოდებათა
შესახებ კანონის მე-378*) მუხლის ძალას,
ვინაიდგან თქვენ მიმდინარე წლის 19
მაისს არ იყავით არჩეული თქვენივე ქუ-
თაისის მაზრის თავად-აზნაურობისაგან
ბანკის რწმუნებულათ და ამ რიგათ მო-
კლებული ხართ ნდობას ყოფილიყავით
სათავად-აზნაურო ბანკში მის წარმომად-
გენლათ. მიუხედავათ ამისა, სარგებლობთ
რა ბანკის წესდების რაღაც საეჭვო ახსნა-
განმარტებით, ვითომ როგორც ბანკის
მსესხებელი, განაგრძობთ ხსენებულ ბანკში
ზედამხედველი კომიტეტის წევრის თანა-
მდებობის აღსრულებას, რაც აშკარა და-
ღვევაა იმპერატორ ალექსანდრე მეორის
სასამართლოს დებულების უტყუარი განმ-
არტებისა, რომელიც მოყვანილია სასა-
მართლოს დაწესებულებათა მე-246 მუხლში.
თუ თქვენი ბრწყინვალება არ ინებებს
ნებაყოფლობით შეასრულოთ კანონის
მოთხოვნილება და დაანებოთ ბანკის კო-
მიტეტში სამსახურს თავი, როგორც სა-
ზოგადოებრივ დაწესებულებაში, მე აღ-
ძრავ ოფიციალურ მიწერ-მოწერას იმ
უწყების წინაშე, რომელსაც ექვემდებარე-
ბა თქვენი ბრწყინვალება, როგორც წევ-
ი ადგილობრივის საოლქო სასამარ-
თლოსი.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ
წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე“.

თუმცა კომენტარიები ზემოხსენებულს
არ ეპირვება, მაგრან მაინც აღსანიშნავია
ის გარემოება, რომ თ-დი ნიჟარაძის გამო-
როტებას იქამდისაც კი შეუძლია თურმე
მიაღწიოს, რომ შეუძლია აღძრას საკითხი
ჩემი გამორიცხვის შესახებ კრებიდან. ნუ
დაივიწყებთ, თავადო დავით ოტიასძე
ერთს რუსულ ანდაზას:

„ჯოხს ორი მხრიდან აქვს თავიო“.
თქვენგან მოქნეული ჯოხი, თქვენვე არ
დაგიბრუნდესთ.

სრულიად უსაფუძვლოდ მწამებს მე თ-დი
ნიჟარაძე ეთიკის პრინციპების დარღვევას,
რადგანაც, ერთი რომ, თვით დეპეშის ში-
ნაარსი განმეორებული ბრძანება, „რომ
მე ჩემი ნებით დამენებებია თავი ყოველი-
ვე საზოგადო დაწესებულებაში და მის განსა
კუთრებით კი ბანკში სამსახურისათვის ზედა-
მხედველი კომიტეტის წევრობისათვის
წინააღმდეგ შემთხვევაში სათანადო ზომებს
მივიღებო“,—როგორც მუქარა, ჩემის
მხრით ზრდილობიან პასუხს ვერ გამოი-
წვევდა და ამისთვის არ მიმიცია ნიჟარა-
ძისათვის პასუხი მის პირველ დეპეშაზე.

თ-დი ნიჟარაძის დეპეშებმა განცვიფრე-
ბაში მოიყვანეს თვით მისი მეგობრები და
კეთილის მყოფელნი, როგორც, მაგალი-
თად, დიდათ პატივცემულნი თავადნი
ოთარ დადეშქელიანი, მელქისედეგ ფალა-
ვა და სხვანი, რომლებიც იმავე აზრის იყ-
ვნენ, რომ დეპეშებზედ მე პასუხი არ უნ-
და მიმეცა. პირველი დეპეშა იყო კისლო-
ვოდსკიდან, ხოლო იქ წასვლამდის თ-დმა
ნიჟარაძემ ფ. მგალობლიშვილის პირით
იმავე შინაარსის წინადადება მომცა.

„მაგრამ ჩემი წინადადება, სამართლია-
ნათ აღნიშნავს თავის წერილში თ-დი ნი-
ჟარაძე, თ-დმა მიქელაძემ უარჰყოვო“.
ამის შემდეგ გეკითხებით, სად არის აქ
ეთიკის პრინციპების დარღვევა ჩემის მხრით;
„აგდებული საქციელი“, „უბრალო ზრდი-
ლობის შეუსრულებლობა“ და ნუ თუ მე
არ მაქვს ეხლა უფლება ყოველივე მოხსე-
ნებული ეპიტეტები სავსებით უკანვე და-
გიბრუნოთ, თ. დ. ო. ნიჟარაძე?

სოდომონ მიქელაძე.

*) ჯერ უდროვოთ მიმაჩნია სხვადასხვა მიზ-
ეზებისა გამო არსებითად უპასუხო თ-დ ნიჟარაძეს,
თუ რამდენათ უსაფუძვლოა მისი მოთხოვნილება.
მე აქ მოვიყვან მხოლოდ დეპეშაში მოხსენებულ
კანონის სიტყვა-სიტყვითი თარგმანს. 378 მუხლი
—„თავად-აზნაურთა წინამძღოლთა და დეპუტატ-
თა კრების მოვალეობას შეადგენს:

. . . . . პუნკტი 13 „წი-
ნასწარი განხილვა და თავად-აზნაურობის კრების
მოსახსენებლათ დამზადება მოსაზრებათა აზნაურთა
გამორიცხვის შესახებ აზნაურობის კრებიდან,
თანახმად 165 და 166 მუხლებით მინიჭებული
უფლებისა. ხოლო 165 მუხლი ამბობს—„თავად-
აზნაურობას უფლება აქვს გამორიცხოს კრებიდან
თავისი აზნაური, რომელიც სასამართლოს გან-
ჩენებით ღირსება ახდილია, ან თუ გასამართლე-
ბული არ ყოფილა, მისი აშკარად უპატიოსნო
მოქმედება ყველასათვის ცნობილია, ვიდრე თავს
არ გაიმართლებს.“

*) თ-დმა ნიჟარაძემ აქაც უმტყუნა თავის სი-
ტყვას და, როგორ დასჭირდა; კიდევაც მიიღო შე-
ერთებული სხდომის კრებაში მონაწილეობა ს.
მიქელაძის თავჯდომარეობით.

ახალი ამბავი.

ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ თბილისიდან საგასტროლოდ იუზა ზარ-
დალი შვილი მოიწვია,

✦ რადგანაც საერთოდ კავკასიის და კერძოდ ამიერ კავკასიის ქალაქებში სურ-
სათის შემოზიდვის საქმე მოუწესრიგებელია და ამიტომ მცხოვრებნი დიდ გაჭივ-
რებას განიცდიან, საქმის მთავარ გამგეობას დაუდგენია თბილისში დაარსოს ცე-
ნტრალური სასურსათო კომიტეტი.

ამ საქმის სათავეში მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებული ვიშპიანსკი
დაინიშნება.

✦ სალიტერატურო დიდა. კვირას 9 ოქ-
ტომბერს ქ. ფოთში, ახალგაზდა მგოსანი
ნ. ჩხიკვაძე გამართავს ლიტერატურულ სა-
ღამოს. ქუთაისის სახალხო უნივერსიტე-
ტის ლექტორი ალექსანდრე გარსევანი-
შვილი წაიკითხავს ლექციას: „აკაკი წერე-
თელი და მისი შემოქმედება“. წაიკითხავენ
თავიანთ ნაწარმოებს: ია ეკალაძე ია.
ნიკოლაიშვილი, მიმქრალი, ლადო ჯა-
ფარიძე და ბ. პელაშვილი. საღამოს ინ-
იციატორი ნ. ჩხიკვაძე წაიკითხავს ჯერ
დაუბეჭდავ ლექს „ცეცხლის ფრინველი“.
ალ. გარსევანიშვილი წაიკითხავს მის მიერ
თარგმნილ ამერიკის გამოჩენილ მწერლის
ედგარ პოს ეტიუდს „შავი კატა“.

✦ 19 სექტემბერს სოფ. სენაკის მე-
დუქნეს გლახუა გიგიბერიას 4 ბერდენე
ბით შეიარაღებული ყაჩაღი შეუვარდა,
51 მანეთი წართვეს და მიიმალენ.

✦ სენაკის მაზრაში სოფ. ონოჭიაში 16
სექტემბერს გლეხს დიმიტრი მიქელავას
სახლში შეუცვივდნენ ოთხნი შეიარაღე-
ბულნი ბოროტ გამზრახველნი, მოკვლას
დაემუქრნენ და ფული მოსთხოვეს, მი
ქელავამ 772 მანეთი მისცა ბოროტ-გამ-
ზრახველებს. ორი მათგანი დაუტუსაღე-
ბიათ.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ზუგდი-
დის მაზრის, სოფ. ნაცულუკუს მცხოვ-
რებლებს ივ. გადილიას, ა. ჭუადუას და
ს. პიპიას ნება დართო ზემოხსენებულ
სოფელში, დაარსონ მომხმარებელი სა-
ზოგადოება „ანგარიში“.

✦ სოხუმის ქალაქის საბჭოს დაუდგე-
ნია პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავ-
ლებელში ქართული ენის სწავლების
რეორგანიზაცია მოახდინოს.

✦ სამხედრო მიმოსვლათა უწყებამ
განკარგულება გასცა, რათა ამიე კავკა-
სიის რკინიგზის სადგურებზე დაგროვილი
სურსათით დაბარგონ ვაგონები და გაგ-
ზავნონ დანიშნულებისამებრ.

✦ შაბათს 24 სექტემბერს საქართვე-
ლოს სამხედრო გზით თბილის ჩამოვიდა
ყოფილი პრემიერ მინისტრი გრაფი კო-
კოვცევი. ხმებია, ქუთაისშიაც აპირებს
მოსვლას კოკოვცევი.

✦ თბ. სასულიერო სემინარიის რექ-
ტორად დეკანოზი კორნელი კეკელიძე
დაინიშნა.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ჩვენს გაზეთ „სამშობლო“-ს
მე № 447 დაიბეჭდა წერილი ბ-ნ ტრი-
ფონ ჯაფარიძისა, სათაურით „საყურად-
ღებო ხელნაწერი“, რომელშიაც მცირე
შეცდომა შეგვეპარა. გაზ. მე 4 გვერდ
ზე, პირველ სვეტში, ზევიდან მე-14 პწკა
რში დაბეჭდილია: „რნიჰ“, უნდა იყოს
„რნიᲩ“. იმავე სვეტში ქვეიდან მე-11
პწკარში დაბეჭდილია: „მეთერთმეტე, უნდა
იყოს „მეთუთხმეტე“.

უპურობა ქალაქებში.

დიდ განსაცდელში ჩავარდენ ახლო-
მახლო დაბა სოფლებისა და ქალაქების
მცხოვრებლები. დღემდე მათი გასაჭირი
ის იყო რომ შაქარს ვერ შოულობდენ
და ეხლა უარესი დღე დაუდგათ: შაქარს
კი არა პურსაც ვეღარ შოულობენ.

თფი-
ლისში ორი კვირაზე ნეტია რაც პურის
კრიზისი ჩამოვარდა.

ყველაზე მეტს გაჭივრებას განიც-
დის თფილის მოსწავლე ახალგაზდობა
მათ არ ძალუძთ გაჩერდენ „რიგში“ პუ-
რის საშოვრად. ერთად ერთი მათი მშვ-
ელელი საკანდიტეროები იყო, მაგრამ ეხ-
ლა გარემოება იქაც შეიცვალა, უფქვი-
ლობამ თავი იჩინა და თითქმის ყველა
ქალაქების საკანდიტორეებმა ფასი აუწიეს
ამ გარემოებამ ისედაც გაჭივრებული ხალ-
ხი უარეს გაქივრებაში ჩააგდო. როდის
მოეღება ამას ბოლო ვინუწყის.

ალეფთერ ტოშაია.

სამადლობელი წერილი.

ჩემ გატაცების შემდეგ დიდი თანაგ-
რძობა მარგუნა ქართულმა პრესამ და
ქუთაისის საზოგადოებამ განურჩევლათ
მიმართულებისა. ტყვეობის დროს ბევრი
ჩემი მოკეთენი ანუგეშებდენ დატანჯულ
ჩემს ოჯახს. განთავისუფლების და შვი-
დობით დაბრუნების შემდეგ აუარებელმა
ჩემმა მეგობრებმა, ამხანაგებმა და ნაც-
ნობებმა, როგორც ჩემი ნახვით, აგრეთ-
ვე წერილებით და დეპეშით სხვადასხვა
ქალაქებიდან, ომის ასპარეზიდან მომი-
ლოცეს და დღესაც მილოცავენ მშვიდო-
ბით დაბრუნებას. ძვირფასი და სამუდა-
მოდ დაუვიწყარია ჩემთვის ამგვარი თა
ნაგრძნობა და სიყვარული. ყველას საერ-
თოდ დიდ მადლობას ვუძღვნი და მას
თან საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ
ჩემმა მომტაცებლებმა ანგარიში გაუწიეს
საზოგადოებაში და პრესაში გამოწვეულ
პროტესტს, შეიგნეს თავისი შეცდომა
და დიდის ბოდიშის მოხდით, უსასყიდ-
ლოთ გამანთავისუფლეს.

სხვა გაზეთებს ვსთხოვ წერილი გადა
ბეჭდონ.

პატივისცემით ექიმი გაბო გოკიელი.

სიმხების ხმაშეწყობილი გალობა.

საერობო საკითხმა დიდი შეხლა შემოხ-
ლა გამოიწვია ქართველთა და სომეხთა
შორის. ქართველები მესამე დასელთა გა-
მოკლებით, ამ საკითხში ძალიან მარტივს
და ადვილათ გასაგებ აზრს ადგიან: თუ
ჩვენ გვეკითხებით, შემოილეთ ერობა ისე-
თი, როგორიც არსებობს შიდა რუსეთში
ვ. ი. 1890 წლ. დებულების თანახმათ,
რომელზედაც გვითითებს მეფის ნაცვალი
დიდი მთავარი, ამის ფარგალს არ გას
ცილდეთო. ხოლო შემოიღეთ თუ შეიძ
ლება იმ ცვლილებით, რაც საჭიროთ მი
გვაჩნია ადგილობრივ პირობებთან შესა
თანხმებლათო. და როდესაც რუსეთში
მოახდენთ საერობო რეფორმას, მოახდენთ
მის დემოკრატიზაციას, მაშინ კი, ნურც
ჩვენ დაგვტოვებთ უყურადღებოთ, ისე-
თივე ცვლილებები გაავრცელეთ ჩვენს
ერობაზეო. ამას იმიტომ მოგახსენებთ,
რომ ნახევარი საუკუნეა გთხოვთ მოგვე-
ცით ერობა, რომ ჩვენის თვით მოქმე
დებით და თუნდა შეკვეცილი თვითმარ-
ლობით სული მოვითქვათ ... ყოთ რა, არ მოიღეთ მოწყალება, ... თუ როგორიც სჯობს ... არჩევში აღარ მივდივართ და აღარ გაძ-
ლევთ საბუთს, რომ თქვენი სიტყვა უკან-
ვე წაიღოთ ერობის შემოღების შესა
ხებ და სულ გარიყული არ დაგვ
ტოვოთო. სომხები მიმართულების და
მდგომარეობის განურჩევლათ კი მოითხო-
ვენ თუ მოგვცემთ მოგვეცით ისეთი ერობა,
რომლის მსგავსი არ არსებობს მთელს
რუსეთში და როგორც ჩვენ მიგვაჩნია
ჩვენი ერისათვის სასარგებლოო. თუ ასეთ
ერობას არ მოგვცემთ, სულ არ გვინდა
არავითარი ერობაო. მკითხველმა რომ
ეჭვი არ შეიტანოს ჩვენს სიტყვებში, რომ
სომხები მართლა ამას ამბობენ მოვიყვანთ
„სახალხო ფურცლის“ მე-681 და მე-682
№-№-იდან საბუთს ცნობილ სუტ ლიბერალ
რეევსკის წაუკითხავს თავისი ლექცია,
ამიერ კავკასიაში ერობის შემოღების შე-
სახებ ერევანშიაც, სადაც იგივე უთქვამს
რაც თბილისში სთქვა.

ერთად ერთი ოპონენტი ჰყოლია ერე-
ვნის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრე-
ბულოს წევრი ბ ნ დ. ხოშტარია, რომე-
ლიც მდგარა ამიერ კავკასიის საერობო
თათბირის უმრავლესობის ე ი. ქართვე-
ლების და სხვა ადგილობრივ ერების—სო-
მხების გარდა—წარმომადგენელთა თვალ-
საზრისზე. მას საბუთიანი პასუხი გაუცია
რეევსკისთვის, მისი აზრი არც რეევ-
სკის მიუღია და არც იქ შეკრებილ სო-
მხობას. სომხები ჰგმობდენ რა 90 წ. ერო-
ბას, მოითხოვდენ, რომ „ერობა იქმნეს
უწოდებრივო, ცენზი იქმნეს შემოღებუ-
ლი გადასახადის კვალობაზე და არა უმე-
ტეს ერთისმანეთისა“-ო. ამას ამბობს ექ.
მიქაელიანცი. მას ბანს აძლევენ ძმები
კარაკოზოვები „არამცდაარამც 90 წ ერო-
ბა არ იქმნეს შემოღებული ამიერ კავკა-
სიაში, რადგან მის შემოღებას სულ უე
რობობა და იმავე მდგომარეობაშივე და-
რჩენა როგორშიაც ახლაა საერობო საქ-
მე ამიერ კავკასიაში სჯობიაო“. ამას
გადმოგვცემს „სახალხო ფურცლის“ კო-
რესპოდენტი ბ-ნი დ. მ. ხსენებული გა-
ზეთის მე 681№-ში მკითხველი იფიქრებს
ეს კერძო აზრი იქნება და არაა მისაღები
მხედველობაშიო. სრულიადაც არა. მთე-
ლი სომხის საზოგადოება ერთსულოვანია
ამ საკითხში და მათი პრესაც დასტურს
სცემს. ფრიად გავრცელებული სომხური
გაზ. „მშაკი“ ამბობს: სჯობიან ერობა
მივიღოთ ცოტა გვიან, მაგრამ მივიღოთ
ისეთი ერობა, რომელიც ემსახურება
მთელი საზოგადოების, ნამდვილი ხალხის
ინტერესებს. სჯობიან გვიან მივიღოთ
ასეთი ერობა, ვიდრე მალე ისეთი, რო-
მელიც მხოლოდ მიწადმფლობელობისა
და ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება.
თუ კავკასია 50 წელიწადს იცდიდა, 1—
2 წელიწადსაც მოიცდის, რათა პურის
ნაცვლათ ქვა არ მიიღოს“.[1])

როდის იყო რომ გაზ. „მშაკი“—ეს სო-
მხის ბურჟუაზიის და სამღვდელოების
ორგანო „ნამდვილი ხალხის“ ე. ი. და
ჩაგრული კლასების ინტერესებს იცავ-
და? არა ეს ფარისევლობაა ქართველი
ერის არსებითი ინტერესების წინააღმდეგ
მიმართული ასეთ ხმაშეწყობილ გალობას
სომხის საზოგადოებისას ჩვენს ქვეყანაში
ერობის შემოღების საკითხის დამარ-
ხვა აქვს მიზნათ, თორემ გონებრივათ
ბეცი ადამიანიც კი მიხვდება, რომ
ამ ჟამად, ამ „სისხლის წვიმების დროს“,
არც სურვილი აქვს და არც განზრა-
ხვა რუსეთის მშრომელ—წრეებს ჩვე-
ნში დემოკრატიული ერობის შემოღე-
ბის. სამწუხაროა ჩვენი მეზობლების
ვერაგული განზრახვა, მაგრამ უფრო სამ-
წუხაროა რომ „მათ ანკესს წამოეგენ ზო-
გიერთი ქართველი კალმოსნებიც, რო-
მელთაც შეცდომაში შეჰყავთ მათი მკი-
თხველები.

ადდონი.

ტანჯულ მამულისთვის.

„უტრო როსია“-ში ჟურნალისტი არ-
დოვი სწერს ხრუსტალევ ნოსარზე. მკით-
ველს უთუოდ მოეხსენება, რომ ხრუსტა
ლევ ნოსარი ის კაცია, რომელიც მოძრაო
ბის დროს პეტერბურგში „მუშათა დე-
პუტატების საბჭოს თავჯდომარე“ იყო
და რამდენიმე ხანს თითქმის რუსეთის
ბედს განაგებდა: ოფიციალი მთავრობა
მინისტრები მას ეკითხებოდნენ, ხალხი
მას უჯეროდა, მაგრამ დრონი იცვალნენ
ხრუსტალევ-ნოსარი გაგზავნეს ციმბირს.
იქიდან კი მოახერხა და საზღვარ-გარეთ
გაიქცა და აი ამის შემდეგ იწყება მისი
ტანჯვა-წამება. არდოვი აღნიშნავს, რომ
ხრუსტალევ-ნოსარი თავის თავადი კაცი
იყო და არ ინდომა ვიწრო პარტიულ

[1]) სახ. ფურ. №682.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეში ჩაემარხა თავის თავი და საემიგრანტო ხუნდებში ხელ ფეხი გაეყარა. ამიტომაც ყველამ მიატოვა, მეგობრები ჩამოშორდნენ და ამასაც აღარ დაეჯერეს — ცილიც დასწამეს, ჩირქიც მოსცხეს. იმას კი მაინც რუსეთი უყვარდა და ცდილობდა როგორმე ისევ სამშობლოში დაბრუნებულიყო. ცდილობდა, უყვარდა. უფლებაც კი ეღირსა შინ დაბრუნებისა 1913 წლის მანიფესტის წყალობით, მაგრამ თვით რუსეთმა კი მაინც არ შეიწყალა. საზღვარ-გარეთის საკონსულომ დაუგვიანა პასპორტის მიცემა და მასაც ვადა გაუვიდა საჭირო საბუთის მიღებისა. გამოცხადდა ეხლანდელი მსოფლიო ომი. კვლავ მოისურვა რუსეთში დაბრუნება: „მე არ შემიძლია, უფლება არა მაქვს ასეთ დროს სამშობლოს გარეშე დავრჩეო“, მაგრამ პასპორტი არც ეხლა აღირსეს, ის კი მაინც წამოვიდა, ვერ მოითმინა, ჩამოვიდა უპასპორტოთ და აი, — რუსეთმა სამი წლის კატორღა მიუსაჯა. ის კი მაინც სწერს თურმე თავის „აღსარება“-ში: „დარაჯებ შუა ვიდექ, მაგრამ თავი მაინც თავისუფალ კაცად მიმაჩნდაო“.

ამის შესახებ არდოვი შემდეგ მწვავე სიტყვებს ხმარობს:

„საშინელება რამ არის ეს რუსეთი.

ეს ჯერ კიდევ არ გამოთქმულა და ძნელიცაა მისი გამოთქმა. ჯერ ამგვარი სიტყვები არ გამოუგონიათ.

— სამშობლოვ, აბა როგორი დედა ხარ ჩვენი?

არა, მკრთალია ძველი საწუხარო სახე, ძველი შედარება რუსეთისა დედინაცვალთან. შეუსაბამოა! აბა სად არის ის გულუბრყვილო ბავშვი, რომელიც სასტიკ დედინაცვალს ტანჯვა-წამებისთვის სამაგიეროდ სიყვარულით მიუგებდა?

სად არის ისეთი შვილი, რომელიც მათრახით გამშოლტველ ხელებს სიყვარულით გადაჰკოცნიდა? რომელიც იოცნებებდა ამ ხელებზე და პანღურ ამოკრული სადმე ბნელ კუთხეში ტირილს მორთავდა და მაინც მისკენ ხელ-გაწვდილი ჩურჩულით იტყოდა:

— შენთან მინდა, შენთან!

ესეთი შვილი ჯერ ბუნებას არ შეუქენია. ბუნება ფხიზელია. ბუნება მთელი და მარტივი და მისი კანონიც მარტივია; შეუძლებელია მისი შეყვარება, რაც შენა გლუპავს.

ჩვენ კი გვიყვარს.

გვიყვარს ის რაც შეურაცყოფს, რაც გვასახიჩრებს. სწორედ ამ გვარად შმაგ ვინმე ინდუსს უყვარს ეტლი ჯაგერნაუტისა და შორიდან მოი წრაფვის წმინდა ქალაქისკენ, იმოსება საუკეთესო სამოსელით და გახარებული ვარდება ეტლის ბორბლებ ქვეშ. ძკლები ტკრციალს მოიღებს, ეტლი კი მიჰქრის თავის გზაზე და თან მიაქანებს ზედ დამაგრებულ სამი ღვთაების გამოსახულებას უაზროთ გამოიმეტყველთა.

ინდუსი დაავადებულია, ჩვენც ავადა ვართ, ავადა ვართ რუსეთით. ინდუსი მონაა, ჩვენც მონები ვართ, რომელთაც არ. გვაქვს საკუთარი ნების ყოფა. სულ რუსეთმა წაგვართვა ჩვენ არა გვაქვს თავმოყვარეობა და თუ მან მისი საყვარელი სახე აგვარიდა, ჩვენ მზადა ვართ ვიფოფხოთ მის წინაშე და ვკოცნოთ ნაკვალევი მისი ნატერფალისა. მერე რა სახე აქვს ხოლმე რუსეთს? ხან დიდებულ და მშვენიერი, ხან ნაზი და მომხიბლავი, როგორც პუშკინის ტატიანა. ხან კიდეე საშინელი როგორც ჩიჩიკოვი და პერედონოვი. ჩვენ კი მაინც გვიყვარს, მაინც მისკენ მივილტვით.

და აი, ამისთანა ქვეყანაზე ხრუსტალევნოსსარი ამბობს — დარაჯებს შორისაც თავისუფალი ადამიანი ვარო!

— საცოდავო და საყვარელო კაცო! რუსეთი რომ ესე უსაზღვროთ გიყვარს — ნუ ინუგეშებ თავს ოცნებით, აჩრდილებს ნუ გამოსდგომიხარ.

აჩრდილი აფრთხობს მხოლოდ.

რუსეთში თავისუფალი არავინ არ არის, რუსეთში მხოლოდ რუსები არიან. .

თქვენ და მეც მხოლოდ რუსები ვართ, დაავადმყოფებულნი რუსეთითა, მისი მონები.

ისეთი მონები, რომელთაც, როგორც თქვენ, თერთმეტს თვეს ციხეში ამყოფებენ და შემდეგ კი კატორღაში გაგზავნიან. ისეთები, რომელთაც მათი სიყვარულისათვის პანღურს ამოჭკრავენ და მწვავე მათრახებს გადააწნავენ.

მონები, რომელთაც მათი საშინელი და უსაზღვრო ძვირფასი ქალბატონი უყვართ.

ერთგული მონები. მხოლოდ შეიძლება კრიჭა შეკრულებს ზოგჯერ გმინვა აღმოგვცდეს:

— დიაღ, რუსეთი საშინელება რამ არის!

„სქ.“

ნარკვევი.

ახლო მომავალში განზრახულია რუმინიასა და რუსეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადება, რომელიც შეძლებას მისცემს ორივე მხარეს საჭირო საქონელი ერთი მეორისაგან მიიღონ. ეხება რა ამ საკითხს გაზ. „ბარე. ვედ.“ სწერს:

ევროპის რუსეთის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში ამ ჟამად დაგროვებულია დიდი ძალი სხვადასხვა საქონელი, რომელიც ომიანობის გამო ვერ გაგვიზიდავს საზღვარ გარეთ; ქიმიური და სამკურნალო მასალები, ფართალი, სხვადასხვა მანქანები და საერთოდ რკინეულობა, რაც შეგვიძლია რუმინიას დავუთმოთო“

როგორც ეტყობა ამ სტრიქონების დამწერს რუსეთში არ უცხოვრია, წინაადმდეგ შემთხვევაში მას ეცოდინებოდა, რომ სწორედ ზემოხსენებული საქონლეგია ხშირად სანატრელი რუსეთის მოქალაქისათვის. რუმინია მართალია, მოკავირეა, მაგრამ ხალხის გაჭივრებაც არ უნდა ივიწყებოდეს.

— —

პროტოპოპოვის დანიშვნა კვლავ იპყრობს რუსულ პრესის ყურადღებას და გაზეთების უმეტესი ნაწილი იმ აზრისაა, რომ შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი მაინც მემარჯვენეა, მიუხედავად მისი ოფიციალურ პროგრესისტობისა.

„ნოვოე ვრემიის“ ცნობილი ფელეტონისტი მენშიკოვი საყურადღებო ამბავს იგონებს პროტოპოპოვის ცხოვრებიდან:

„როცა პროტოპოპოვს მისმა მეგობრებმა შენიშნეს, რომ ის, მემარცხენე ოქტომბრისტი და პროგრესიულ ბლოკის წევრი ხშირად მემარჯვენეებსავით იქცევა, მომავალ მინისტრს უპასუხნია: ეს ბუნების კანონია; თვით ბუნებამ მარჯვენა და მარცხენა ხელი მოგვცა და ეს იმიტომ, რომ ხან მარცხენა ხელი ვიხმაროთ ხან მარჯვენა და ხან კი ორივე ერთადაო.“

ეჭვი არ არის, „პროგრესისტი“ მინისტრი მარჯვენა ხელს უფრო ამუშავებს, რადგანაც მემარცხენეობამ სამსახურში წარმატებისათვის მარცხი იცის!

— —

სომხური გაზეთი „მშაკი“ ერთხელ კიდევ ეხება საერობო საკითხს და სხვათა შორის სწერს:

„ისა სჯობია ერობა გვიან მივიღოთ მაგრამ ისეთი ერობა, რომ მთელი ხალხის ნამდვილ ინტერესებს დაკმაყოფილებდესო:

მოვუცადოთ ვიდრე რუსეთში მიტროფანუშკები გამოილევიან, ვიდრე პურიშკევიჩ მარკოვები ებრაელებს და სხვა ინოროდცებს შეიყვარებენ, ხალხს თავისუფალი ლაპარაკის ნება მიეცემა, ვიდრე აქლემი ნემსის კუნწში არ გაძვრება და შემდეგ კარგ ერობას მივიღებთ; კაი იმედია! მაგრამ ჩვენ არა გვგონია, რომ კლერიკალური სულის მქონე ორგანო რადიკალურ რეფორმების მომხრე იყოს.

ბ. ბ.

თეატრი და ხელოვნება.

ქართული თეატრი 24 – 25 წარმოდგენა „დღენი ჩვენის ცხოვრებისა“ და „ზღვასთან“.

ჩვენ ვეცდებით, რომ ჩვენს რეცენზიებსა და შენიშვნებში არავითარი მიდგომილება და მეგობრობა არ გამოვიჩინოთ, არამედ ვაღიარეთ ის, რაც ნამდვილია და რის მოწამე თვით დამსწრე საზოგადოებაა.

რეზენტიები და შენიშვნები ხელოვნებისადმი, უნდა იყოს გულწრფელი მიუდგომელი, არავითარ მეგობრობას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. შეიძლება ბირაღთ დიდი მეგობარიც და თაყვანისმცემელი ვიყო, როგორც რეჟისორების, ის მომქმედ ბირების, მაგრამ ცუდათ ბიესების დადგმისათვის და ცუდათ თამაშობისათვის, მათ ქება დიდება შეგვსხა, ეს ხომ იქნება არამც თუ მეგობრობა და პატივისცემა, არამედ მტრობა, როგორც საქმისადმი ისე თვით მეგობრისათვის. რა საჭიროა თავის-თავის და საზოგადოების მოტყუება განა საზოგადოება ბრმაა? ეკმოვნება და ესტეტიკური გრძნობა დახშული აქვს? განა ბირველი წარმოდგენის ქება დიდება შეიძლებოდა? მაგრამ მისი დაფასება ისევ საზოგადოებას მივანდოთ.

შაბათის 24-ს წარმოდგენა „დღენი ჩვენის ცხოვრებისა ქუთაისის სტენაზედ ოცჯერ მაინც დადგმულა და ეოველთვის კარგათ ჩაუარია, ასე რომ დიდი შეშფოთება მას არ სჭირია, შინაარსიც ჩვენმა საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა, ჩვეულებრივად კარგები იყვნენ ნ. ჩხეიძის ასული და იმედაშვილი. საეტაპოო მსახიობია ა. ყალბაეგაშვილი. კარგი იყო კორაშელი ფოსრანგეკნის როლში, არა უშავდა ბეყანიშვილის ასულს. დასარჩენი ხელს უწყობდენ თამაშს — მხოლოდ ბოლო მოქმედებაში სიმღერა ვერ იყო კარგი.

კვირას 25 სექტ. ითამაშეს ბიესი „ზღვასთან“ წარმოდგენამ უფრო კარგათ და მწყობრათ ჩაიარა, ეს ბიესიც ბევრჯერ უნახავს ჩვენ საზოგადოებას, ასე რომ ახალი არაფერი არ იყო. საზოგადოება კი 25 ს წარმოდგენას უფრო მეტი დაესწრო ვიდრე შაბათისას.

კიდევ და კიდევ უნდა ვუსაუბედურო ქალდარას, არავითარი მუდარა, შენიშვნა და ხვეწნა მათზე არ მოქმედობს კარგი იქნება თუ გამგეობა იდონების რასმეს წინაადმდეგ ესეთი უწესოებისა.

ბენტი.

რუსეთი.

სპეკულიანტები განაგრძობენ თავის „ნაყოფიერ“ მუშაობას. როსტოვის მეფქვილეებს, მიუხედავათ იმისა, რომ დიდ ძალი ფქვილი აქვთ, მთელ დონეცის ოლქში და მის ახლო-მახლო მდებარე ქალაქებში ფქვილი არ გაუგზავნიათ, რის გამოც რამდენიმე ქალაქში სრულიად უპუროდ დარჩენილან.

— —

მოგილიევის გუბერნატორს ფოტოგრაფიულ სურათის გადაღებაზედაც ნიხრი დაუწესებია ასე, მაგალითად ჩვეულებრივი საკაბინეტო სურათის გადაღება ახალის ნიხრის მიხედვით 1 მ. 60 კაპ. უნდა ღირდეს.

— —

ვლადივასტოკის გაზეთი „დალეკაია ოკრაინა“ მიზეზის უჩვენებლად ადმინისტრაციამ 3 ათასი მანათით დააჯარიმა.

— —

მომავალი წლიდან განზრახულია კიევში გზათა მიმოსვლის ინსტიტუტი დაარსონ ამ ინსტიტუტისათვის სათათბიროს და ერობას 600000 მან. გადაუდვია და 300000 მათეთი კი ქალაქის საბჭოს.

— —

თურქესტანის გენერალ გუბერნატორს გენ. კუროპატკინს ადგილობრივ მცხოვრებ თურქმენებმა 31,000 მან. გადაცეს ომის საჭიროებისათვის.

— —

საიმპერატორო თეატრის მსახიობ ქალის პუარეს საქმე უკვე დასრულდა. მას აბრალებდნენ, ვითომ მან სხვისი ბავშვი ჩააწერინა თავის ქმრისაგან ნაყოლ ბავშვათ მოსკოვის ერთერთ ეკლესიის მღვდელს ქ-ბნი პუარე გაამართლეს.

— —

კიევის სამხედრო ოლქის უფროსს ბრძანება გამოუცია რომლითაც ავალებს მცხოვრებლებს ვისაც ინგლისური ჯიშის ძაღლები ყავს უეჭველად უნდა მთავრობის მიერ დანიშნულ განსაკუთრებულ კომისიას ჩააბარონ.

— —

პურიშკევიჩს განუცხადებია, სათაბიროს მომავალ სესიის პირველ სხდომაზევე გამოვაშკარავებ ერთერთ ბიუროკრატულ უმაღლეს დაწესებულებასო.

— —

უწმინდესი სინოდის წინაშე საქართველოს ექსარხოს პლატონს შუამდგომლობა აღუძრავს, რათა თბ. დედათა ეპარქიალურ სასწავლებლის ინსპექტორ პრ. გიორ. კეკელიძე თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად დაენიშნათ. სინოდმა შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

— —

კიევის სასამართლოში გაირჩა თარხან მოურავოვის საქმე. საქმის გარემოება ასეთი იყო: თარხან მოურავოვს საინტენდანტოსთვის 50 ათასი ვედრო ღვინო უნდა დაემზადებია. თარხან მოურავოვს ვედრო ღვინო 2 მ. 10 შაურად უყიდნია და საინტენდანტოს 3 მანეთათ მიუწყვია დამნაშავეს სამი წლით დაპატიმრება გადაუწყვიტეს. მისი თანაშემწე ა. რჩეულოვი გაამართლეს.

უცხოეთი.

— —

მთავრეთის მეფე ნიკოლოზი, როგორც ვიცით საფრანგეთის ქალაქ ბორდოში იმყოფებოდა აქამდე და ეხლაკი მიყრუებულ ქ. სენის პეილიში იქნება დასახლებული.

— —

ჩინეთი მილიარდ მანეთს სესხულობს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. ჩინეთის მთავრობას აზრად აქვს რამდენიმე ახალი რკინისგზა გაიყვანოს და საერთოდ ჩინეთის ვაჭრობამ მრეწველობა ასწიოს.

— —

ინგლისში განსაკუთრებულ დანიშნულებით მოვიდნენ ახალი ზელანდიის პირველი მინისტრი მასსეი ფინანსების — უორდომ სიუნი.

— —

შორეულ აღმოსავლეთში ხუნხუზები თარეშს განაგრძობენ. მონგოლეთის მთავრობას მათ წინაღმდეგ ჯარი გაუგზავნია ამბობენ, ხუნხუზებს ჩინელი ოფიცრები ხელმძღვანელობენო.

— —

ავსტრიის პარლამენტის ფრაქციების წარმომადგენლებს კერძო თათბირი ჰქონიათ რომელზედაც დაუდგენიათ, მოითხოვონ რეიხსრატის მოქმედების განახლება.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

„სინათლის“ საზოგადოებასთან არსებული ქალთა კომიტეტი გაახლებთ ამასთანავე კომიტეტის მიერ 25 მაის ამ წლის ქალაქის ბაღში გამართულ სეირნობის ანგარიშს. გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, დაბეჭდოთ იგი თქვენი გაზეთის უახლეს ნომერში. გარეშე ამისა ქალთა კომიტეტი თავის მოვალეობათ სთვლის უდრმესი მადლობა გამოუცხადოს იმ პირთ, რომელთაც ფულის და ნივთების შემოწირვით და პირადის დახმარებით ხელი შეუწყეს სეირნობის გამართველთ.

შემოსავალი.

ა. სხვა და სხვა პირთაგან შემოწირულია	690 მ. 93 კ.
ბ. გახშამის და დარჩენილი სანოვაგის გაყიდვით	374 მ. 05 კ.
გ. ბილეთების გაყიდვით	327 [illegible]
დ. კიოსკების, გასართობების, ლოტარიის, ჩაის [illegible]	[illegible]
და სხვა შემოსავალი	[illegible]
სულ შემოვიდა	3784 მ. [illegible] კ.

გასავალი.

ა. მარკების ფული (ბილეთების)	124 მ. 90 კ.
ბ. ნიუთები სეირნობის მოსაწყობათ, ქირა და სხვა ხარჯები	398 მ. 08 კ.
გ. სანოვაგე და სასმელები	177 მ. 55 კ.
დ. შუბლიკატია, მუსიკა, მუშები, მეეტლეები და სხვა ხარჯები	195 მ. 20 კ.
ჯამი ხარჯების	895 მ. 73 კ.
დარჩა წმინდა შემოსავალი	2888 მ. $62\frac{1}{2}$ კ.
	3784 მ. $35\frac{1}{2}$ კ.

კომიტეტი.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“



რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 7 ს. 25 წ.	
„	— საღამ.	— 8 ს. 50	„
ბათომიდან	— დღისით	— 12 ს. 40	„
„	— ღამის	— 2 ს. 20	„
ფოთიდან	— დილის	— 10 ს. 26	„
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს. 00	„
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 11 ს. —	„
„	— ღამის	— 12 ს. 15	„
ბათომისაკენ	— საღამოს	— 7 ს. 3	„
„	— დილის	— 5 ს. 55	„
ფოთისაკენ	— დღისით	— 4 ს.	„
ტყიბულისკენ	— დილის	— 8 ს. 13	„
შორაპნისაკენ	— დღით	— 5 ს. 18	„

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟურჟულაძეების სამკურნალო

ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

ავი სენი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიეყვანა ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაციდები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს ბროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ თავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს. **პრეპარატი**. ექ. დე-ვეზისა სრულებით სჭობს სიფილისის ბაციდებს და სწმენდს მხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა სჭობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუმსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სჭობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხორხამდისა და მთელი ორგანიზმის ბროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშავის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „ბრაკტიკულ მედიცინის დაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** საკუთარ მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

კოკულიარული ბრუშურა იგზავნება უფასოთ.

9—(წლიური)

სტრაფოლ. ქ. ქუთაისი სტამბა ალ. კობრეიძისა — ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან